

გადაცემის გზებზე დაფუძნებული უსაფრთხოების ზომები

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი)

შესავალი

სტანდარტული უსაფრთხოების ზომები გამოიყენება ყველა პაციენტის მიმართ, ხოლო გადაცემის გზებზე დაფუძნებული ზომები - განსაზღვრული პაციენტების მიმართ სპეციფიკური დიაგნოზის, სავარაუდო ან დადასტურებული კლინიკური სინდრომის მიხედვით. უსაფრთხოების ღონისძიებები პირობითად იყოფა სამ ჯგუფად: ჰაეროვანი, წვეთოვანი და კონტაქტური.

ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში გამოიყენება ერთზე მეტი ღონისძიება

ინფექციის კონტროლის ტრიაჟი

ინფექციის კონტროლის ტრიაჟი არის პროცესი, რომლის დროსაც განისაზღვრება უსაფრთხოების ზომების გამოყენების საჭიროება. ტრიაჟი უნდა ჩატარდეს მაშინ, როდესაც პაციენტი მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას ან, როდესაც ჰოსპიტალიზებულ პაციენტს გამოუვლინდება სხვა ახალი სიმპტომები. ტრიაჟზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა განსაზღვროს, ესაჭიროება თუ არა პაციენტს დამატებითი უსაფრთხოების ზომები, როგორცაა:

- ნიღაბი (მაგ: რესპირატორული სიმპტომების ან ხველის დროს)
- იზოლაცია (მაგ: საექვო ტუბერკულოზი, ჰაეროვანი იზოლაცია)

გადაცემის გზებზე დაფუძნებული უსაფრთხოების ზომები უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, თუ ტრიაჟი დაადგენს, რომ პაციენტს აქვს საექვო, სავარაუდო ან დადასტურებული ინფექცია შემთხვევითა სტანდარტული განსაზღვრებების მიხედვით. სასურველია, გამომწვევი მიკროორგანიზმის დასაზუსტებლად ჩატარდეს ლაბორატორიული ტესტირება.

პაციენტის განთავსება

ყველა სამედიცინო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ცალკე სათავსი ე.წ. საიზოლაციო სივრცე იმ პაციენტებისათვის, რომელთა მიმართ უნდა გატარდეს გადაცემის გზებზე დაფუძნებული უსაფრთხოების ზომები. კოჰორტულად ერთ სივრცეში თავსდება პაციენტები, რომლებიც კოლონიზირებულნი ან ინფიცირებულნი არიან ერთი და იგივე მიკროორგანიზმით.


იზოლაციურ-შემზღუდველ ღონისძიებებს დაქვემდებარებულ პაციენტთან იდს-ის გამოყენება აუცილებლად მოეთხოვება როგორც სამედიცინო პერსონალს, ისე ვიზიტორებს.

წარწერები / მინიშნებები

სამედიცინო და დამხმარე პერსონალისთვის (დასუფთავების პერსონალის ჩათვლით) გამოიყენება ადვილად შესამჩნევი სტანდარტიზებული წარწერები / მინიშნებები.

წარწერების / მინიშნებების განთავსების დროს უნდა უზრუნველყოთ პაციენტის კონფიდენციალობა (მაგალითად, წარწერაზე არ უნდა აღინიშნოს დაავადების ნოზოლოგია ან ინფექციის გამომწვევი). უნდა აღინიშნოს მხოლოდ იზოლაციის სახე და გასატარებელი ღონისძიებები; ასევე, უნდა განთავსდეს ამ მოთხოვნების შესაბამისი საჭირო ნივთები.

სამედიცინო პერსონალმა და ვიზიტორებმა შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა მოირგონ პაციენტის ოთახში შესვლამდე.



შენიშვნა: პლაკატების გარდა, შესაძლებელია, იყოს ბიოუსაფრთხოების ლოგო წარწერით „შესვლა დასაშვებია მხოლოდ სამედიცინო პერსონალისთვის“. წარწერები უნდა იყოს ქართულ ენაზე (იხ. ხველის ეტიკეტის გაიდლაინი).

გადაცემის გზებზე დაფუძნებული დაცვის ღონისძიებების ემპირიული გამოყენება

დასაზუსტებელი ინფექციის საბოლოო დიაგნოზის დასამადე გადაცემის გზებზე დაფუძნებული ღონისძიებების განხორციელება უნდა ემყარებოდეს პაციენტის კლინიკურ ნიშნებსა და სიმპტომებს (ემპირიული საფუძველი).

დაცვის ღონისძიებების „ემპირიული გამოყენების“ მაგალითები მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი 1: გადაცემის გზებზე დაფუძნებული დაცვის ღონისძიებების ემპირიული გამოყენება

ჰაეროვანი გზა	წვეთოვანი	კონტაქტური
<p>ხველება, ცხელება და ფილტვის ზედა წილის კვლევის შედეგები (მოყრუება და/ან შესუსტებული სუნთქვა);</p> <p>ხველება, ცხელება და ფილტვის გამოკვლევის შედეგები აივ ინფიცირებულ პირებში ან აივ ინფიცირების მაღალი რისკის მქონე პირებში;</p> <p>გამონაყარი (ვეზიკულური ან ბუშტუკოვანი);</p> <p>ნახველის ინდუცირება ან ბრონქოსკოპია ტუბერკულოზის არსებობის ან მასზე ეჭვის შემთხვევაში</p>	<p>ყვიანახველის/გრიპის გავრცელების დროს ძლიერი მუდმივი ხველა;</p> <p>მენინგიტი (ცხელება, ლებინება და კისრის კუნთების რიგიდობა);</p> <p>ჰემორაგიული გამონაყარი ცხელებით;</p> <p>უცნობის ეტიოლოგიის მრავლობითი გამონაყარი კანზე</p>	<p>მწვავე დიარეა იმ პაციენტის შემთხვევაში, რომელსაც აწუხებს შარდის/განავლის შეუკავებლობის პრობლემა;</p> <p>დიარეა ანტიბიოტიკოთერაპიის შემდეგ;</p> <p>ბრონქიტი და კრუპი ახალშობილებსა და ბავშვებში;</p> <p>მულტირეზისტენტული ორგანიზმებით (MDRO) ინფიცირება ანამნეზში (ტუბერკულოზის გარდა);</p> <p>ვეზიკულური გამონაყარი;</p> <p>აბსცესი ან დრენირებული ჭრილობა, რომლის დახურვაც არ ხერხდება</p>

ზოგიერთი ინფექციის დროს საჭიროა შერეული იზოლაციის ფორმები.

გადაცემის გზებზე დაფუძნებული უსაფრთხოების ზომებზე მუშაობისას გასათვალისწინებელია:

- პალატაში შესვლის სიხშირის შემცირება
- პალატაში შესვლამდე ყველა საჭირო აღჭურვილობის მომარაგება.
- პალატაში ადამიანთა მინიმალური რაოდენობის ყოფნა.
- პალატაში აღჭურვილობის მინიმალური რაოდენობის არსებობა.
- პერსონალის იმუნური სტატუსის გათვალისწინება (ყვიანახველა, წითელა და სხვ. შემთხვევაში)

კონტაქტური გზით გადამდები დაავადებების უსაფრთხოების ზომები

კონტაქტური იზოლაცია საჭიროა, როდესაც ინფექციის გადაცემა შესაძლებელია ეპიდემიოლოგიურად მნიშვნელოვანი მიკროორგანიზმებით ინფიცირებული ან კოლონიზებული პაციენტებიდან პირდაპირი (პაციენტთან შეხება) ან არაპირდაპირი კონტაქტის (პაციენტის ირგვლივ მყოფი საგნები ან ზედაპირები) გზით. კონტაქტური იზოლაციისას პაციენტები თავსდებათ ცალკე პალატაში ან კოჰორტულად იმავე მიკროორგანიზმებით ინფიცირებულ პაციენტებთან ერთად.

კონტაქტური იზოლაციურ-შემზღუდავი ღონისძიებები წარმოებს:

- მულტირეზისტენტული მიკროორგანიზმებით (მაგ: მეტიცილინ-რეზისტენტული ოქროსფერი სტაფილოკოკი (MRSA), კარბაპენემ-რეზისტენტული ენტერობაქტერიები (CRE)) ინფიცირებული ან კოლონიზებული პაციენტების მიმართ;
- პაციენტების მიმართ, რომელთაც აღენიშნებათ Clostridium difficile-თი გამოწვეული ენტერიტი;
- ფეკალურ-ორალური გზით გადამდები ინფექციების;

- ჰერპეს ზოსტერის (varicella zoster);
- მარტივი ჰერპესით (Herpes simplex) გამოწვეული ინფექციების;
- ენტეროვირუსული მენინგიტისას;
- იმ პაციენტების მიმართ, რომლებიც საჭიროებენ საფენებს ან ვერ აკონტროლებენ დეფეკაციას;
- რესპირატორულ-სინციტიალური ვირუსით ინფიცირებული ადრეული ასაკის ბავშვების მიმართ.
- იმ პაციენტების მიმართ, რომელთაც დაესვათ პარაგრიპის, ენტეროვირუსული ინფექციის, იმპეტიგოს, მუნის ან პედიკულოზის დიაგნოზი.

პაციენტები, რომელთაც დაესვათ სარტყლისებრი ლიქენის (დისემინირებული ჰერპეს-ზოსტერის) ან ჩუტყვავილას დიაგნოზი, საჭიროებენ როგორც კონტაქტურ, ასევე რესპირატორულ იზოლაციას, ხოლო ადენოვირუსული ინფექციით დაავადებული ადრეული ასაკის ბავშვები- კონტაქტურ და წვეთოვან იზოლაციას.

კონტაქტური გზით გადამცემი დაავადებებისას უსაფრთხოების ზომების გასატარებლად საჭიროა:

პაციენტის განთავსება

- ✓ პაციენტი მოათავსეთ ცალკე ოთახში (იზოლაცია),
- ✓ პრიორიტეტი მიანიჭეთ პაციენტებს მათი მდგომარეობის მიხედვით (მაგ: დრენაჟი, უნებლიე დეფეკაცია/დიარეა, რაც აუცილებელს ხდის პაციენტის ერთადგილიან პალატაში მოთავსებას);
- ✓ თუ ცალკე ოთახი ხელმისაწვდომი არ არის, პაციენტები, რომლებიც ინფიცირებულები/კოლონიზებულები არიან ერთი და იმავე პათოგენით ან აღენიშნებათ მსგავსი კლინიკური ნიშნები, უნდა მოთავსდნენ ერთ ოთახში (კოჰორტული იზოლაცია).

იმ შემთხვევაში, როცა არცერთი ალტერნატივა არ არის ხელმისაწვდომი, უზრუნველყავით პაციენტის მოთავსება სხვა პაციენტებისგან განცალკევებით.

თუ გარდაუვალია კონტაქტური უსაფრთხოების ზომების საჭიროების მქონე პაციენტის მოთავსება იმ ოთახში, სადაც იმყოფება პაციენტი, რომელიც არ არის ინფიცირებული/კოლონიზებული იმავე ინფექციური აგენტით, მაშინ:

- თავიდან უნდა აიცილოთ კონტაქტური უსაფრთხოების იზოლაციის ღონისძიებების ქვეშ მყოფი პაციენტების მოთავსება იმუნოკომპრომეტირებულ ან ღია პორტის მქონე პაციენტებთან (მაგ. ჭრილობა);
- პაციენტები ფიზიკურად დაცილებულები უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან (მათ შორის მანძილი უნდა იყოს 120 სმ- ზე მეტი);
- უშუალო კონტაქტის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, საწოლებს შორის ჩამოუშვით ორმხრივ წყალგამძლე ზედაპირის მქონე ფარდა
- გამოიცვალეთ დამცავი სამოსი და ჩაიტარეთ ხელის ჰიგიენა .

ამბულატორიულ დაწესებულებებში პაციენტები, რომლებსაც ესაჭიროებათ კონტაქტური უსაფრთხოების ზომები, მაქსიმალურად სწრაფად მოათავსეთ გასასინჯ ოთახში ან იზოლატორში.

პაციენტის ტრანსპორტირება



- ✚ შეზღუდვით პაციენტის ტრანსპორტირება, გადაიყვანეთ პაციენტი მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში.
- ✚ ტრანსპორტირებისას დაიცავით უსაფრთხოების ზომები სხვა პაციენტებზე, პერსონალზე ან გარემოში მიკროორგანიზმების გავრცელების რისკების შემცირების მიზნით.
- ✚ სატრანსპორტო საშუალებები გამოყენების შემდეგ გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია.
- ✚ პაციენტის სხვა დაწესებულებაში/ განყოფილებაში ტრანსპორტირების/გადაადგილებისას, დარწმუნდით, რომ პაციენტის სხეულის ინფიცირებული ან კოლონიზებული ნაწილები არის დაფარული.
- ✚ იმ პაციენტების ტრანსპორტირების შემდეგ, რომელთა მიმართაც გამოიყენება კონტაქტური უსაფრთხოების ზომები, გამოიცვალეთ გამოყენებული იდს და ჩაიტარეთ ხელის ჰიგიენა.

პაციენტის მოვლის აღჭურვილობა

ინფექციური პაციენტებისათვის გამოიყენეთ ერთჯერადი ან ინდივიდუალური არაკრიტიკული საგნები (მაგ. წნევის აპარატის მანჟეტი, თერმომეტრი); თუ აუცილებელი გახდა მათი გამოყენება სხვა პაციენტებზე, მაშინ გამოყენების წინ უნდა მოხდეს მათი წმენდა და დეზინფექცია.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

იდს საშუალებების მორგება უნდა მოხდეს საიზოლაციო სათავსის წინ მდებარე რაბში ან საიზოლაციო არეში მოხვედრამდე, ხელების ჰიგიენის ჩატარების შემდეგ:

ხელთათმანები



- ახალი არასტერილური ხელთათმანების მოხმარება აუცილებელია ოთახში შესვლისთანავე, ნებისმიერი პროცედურის შესრულებისას (პალატაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში)
- ხელთათმანების ჩაცმა/გახდის წესი იხ. გაიდლაინში „ინდივიდუალური დაცვის საშუალებები“

ხალათი და დამცავი ტანსაცმელი

- ჩაიცვით სუფთა არასტერილური ხალათი პაციენტის ოთახში შესვლისას (ან

პაციენტის საწოლთან)

- თუ პაციენტს აქვს სპინქტერების დისფუნქცია, დიარეა, კოლონოსტომა ან ჭრილობიდან პროფუზული გამონადენი, სასურველია წყალგაუმტარი ხალათის/წინსაფრის გამოყენება
- გაიხადეთ ხალათი პაციენტის ოთახის ან მისი გარემოს დატოვებამდე. ეცადეთ, თქვენი ტანსაცმელი არ შეეხოს პოტენციურად დაბინძურებულ ზედაპირებს ან საგნებს.

ხელების ჰიგიენა



გააძლიერეთ ხელის ჰიგიენის პრაქტიკა

- დაიბანეთ ხელები საპნით და წყლით ან გამოიყენეთ ხელის ანტისეპტიკური საშუალებები ხელთათმანების მოხსნის შემდეგ. (იხ.ხელის ჰიგიენის გაიდლაინი)
- ეცადეთ არ შეეხოთ პოტენციურად დაბინძურებულ ზედაპირებს ან საგნებს ოთახის დატოვებამდე.
- *C. difficile*-ს შემთხვევაში ყველა ქმედების შემდეგ აუცილებელია საპნით და წყლით დაბანა

დასუფთავება

- პირველ რიგში სუფთავდება და დეზინფიცირდება კონტაქტური უსაფრთხოების ზომებისთვის განსაზღვრული ოთახები (იხ. გაიდლაინი „სამედიცინო დაწესებულებების დასუფთავება“)
- კონტაქტურ იზოლაციაში მყოფი პაციენტების ოთახების დასუფთავება დეზინფექცია ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასუფთავებას, (მაგალითად, საწოლის სახელურები, ტუმბო საწოლის გვერდით, პაციენტების სააბაზანო ოთახებში ტუალეტის ზედაპირები) და პაციენტის ახლოს მდებარე აპარატურის გაწმენდას.
- ორგანიზმები, რომლებიც წარმოქმნიან სპორებს (მაგ. *C. diff.*) მოითხოვს ქლორის შემცველ სადეზინფექციო საშუალებებს; თუ ხდება ქლორშემცველი მათეთრებლის განზავება, ხსნარი უნდა მომზადდეს ყოველდღიურად მწარმოებლის რეკომენდაციის გათვალისწინებით.
- პაციენტების მოვლის აღჭურვილობის და გარემოს დასუფთავება უნდა მოხდეს შესაბამისი იდს-ის გამოყენებით.

კონტაქტური უსაფრთხოების ზომები შეწყდება ინფექციის ნიშნებისა და სიმპტომების აღაგების შემდეგ ან პათოგენებზე სპეციფიკური რეკომენდაციების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია დანართში A.

უსაფრთხოების ზომები წვეთოვანი გზით გადამდები დაავადებებისათვის

პაციენტები საექვო, სავარაუდო ან დადასტურებული ინფექციით, რომელიც შეიძლება გავრცელდეს რესპირატორული სეკრეტების გაშხეფებით, ექვემდებარებიან წვეთოვან იზოლაციას. დაავადების წვეთოვანი გზით გავრცელება ხდება მაშინ, როდესაც დაავადებული ადამიანი ჰაერში აფრქვევს 5 მიკრონზე მეტი ზომის ინფიცირებულ წვეთებს ხველის, დაცემინების ან საუბრის დროს. ინფიცირებული წვეთების ჰაერში გაფრქვევა ასევე შეიძლება მოხდეს სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციის დროს. ინფიცირებული წვეთები ვრცელდება

ხელითაც, როდესაც ადამიანი ხველების ან ცემინების დროს იფარებს ხელს და შემდეგ ეხება ვინმეს ან გარემოს ზედაპირს.

წვეთოვანი გზით გადაცემის უსაფრთხოების ზომები გამიზნულია პათოგენების გადატანის აღსაკვეთად; ვინაიდან ეს პათოგენები არ ინარჩუნებენ ინფექციურობას დიდ მანძილზე, წვეთოვანი ტრანსმისიის აღსაკვეთად სამედიცინო დაწესებულებაში არაა აუცილებელი ჰაერის სპეციალური დამუშავება და უარყოფითი წნევის არსებობა.

ერთსაწოლიანი პალატა მიზანშეწონილია პაციენტებისთვის, რომელთაც ესაჭიროებათ წვეთოვანი ტრანსმისიის პროფილაქტიკური ღონისძიებები. ერთსაწოლიანი პალატის არ- არსებობის შემთხვევაში, რეკომენდებულია კონსულტაცია ინფექციის კონტროლზე პასუხისმგებელ პირებთან.

მრავალსაწოლიან პალატებში რეკომენდებულია 1,2 მ მანძილი საწოლებს შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საწოლების ორმხრივი წყალგამძლე ზედაპირის მქონე ფარდებით იზოლირება. სამედიცინო პერსონალს უნდა ეკეთოს ნიღაბი (რესპირატორი არ არის აუცილებელი) ინფიცირებულ პაციენტთან ახლო კონტაქტის დროს (<1, 2 მ-ზე); ნიღაბი უნდა გაიკეთოს უშუალოდ ოთახში შესვლისას; უმჯობესია- საიზოლაციო სივრცის წინ მოთავსებულ რაბში.

პაციენტებს, რომელთათვისაც გამოიყენება წვეთოვანი ტრანსმისიის პროფილაქტიკური ღონისძიებები, უნდა ეკეთოდ ნიღაბი ოთახიდან ტრანსპორტირების დროს, თუ შეუძლიათ ამის ატანა; ასევე, უნდა იცავდნენ რესპირატორული ჰიგიენის/ხველის ეტიკეტს (იხ.გაიდლაინი „რესპირატორული ჰიგიენა და ხველის ეტიკეტი“).

ორგანიზმები, რომლებიც საჭიროებენ წვეთოვან ინფექციებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ზომებს, წარმოდგენილია დანართში N 1; მათ შორის: *B. pertussis*, სეზონური გრიპის ვირუსი, ადენოვირუსი, *Neisseria meningitidis* და გარკვეული ტიპის პნევმონიები.

პაციენტის იზოლაციის ხანგრძლივობა ზოგიერთი გავრცელებული დაავადებებისთვის:

- მენინგოკოკური მენინგიტი-ანტიბიოტიკების პირველი დოზის მიღებიდან 24 საათი
- სტრეპტოკოკული ფარინგიტი- ანტიბიოტიკების პირველი დოზის მიღებიდან 24 საათი
- სეზონური გრიპი- სიმპტომების გამოვლენიდან 5 დღის განმავლობაში, 7 დღე ბავშვებისთვის
- ყბაყურა-შემუპების გამოვლენიდან 9 დღემდე (5დღე -2018 წლის შესწორება)
- წითურა- გამონაყარის გაჩენის შემდეგ 7 დღე (5დღე)

იმისათვის, რომ განვახორციელოთ წვეთოვან ინფექციებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები, საჭიროა:

წყაროს/პაციენტის კონტროლი

- პაციენტებმა უნდა ატარონ ქირურგიული ნიღაბი, როდესაც იმყოფებიან პაციენტის ოთახის გარეთ ან ექიმის მოსაცდელში.
- წვეთოვან ინფექციაზე ეჭვის მიტანისთანავე, პაციენტს უნდა მიეწოდოს ქირურგიული ნიღაბი.

პაციენტის განთავსება

პაციენტები, რომლებსაც ესაჭიროებათ წვეთოვანი ინფექციის უსაფრთხოების ზომები, უნდა მოთავსდნენ ერთადგილიან პალატაში. ერთადგილიანი პალატების დეფიციტის შემთხვევაში, პაციენტების განთავსების საკითხის გადაწყვეტა ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

- ერთადგილიან პალატაში პრიორიტეტულად თავსდება პაციენტები, რომლებსაც აქვთ ინტენსიური ხველა და ჭარბი ნახველი;
- თუ ცალკე პალატა ხელმისაწვდომი არ არის, ერთ ოთახში უნდა მოთავსდნენ ერთი და იგივე პათოგენით ინფიცირებული პაციენტები;
- თუ ვერ ხერხდება პაციენტის წვეთოვანი გზით გადამდები ინფექციის გამო იზოლაციაში განთავსება, თავიდან აიცილეთ ასეთი პაციენტების მოთავსება იმ პაციენტებთან ერთად, რომლებსაც აქვთ დაქვეითებული იმუნიტეტი, ღია ჭრილობები ან ხანგრძლივი დროის მანძილზე მოუწევთ ერთად დაყოვნება;
- თუ არცერთი ალტერნატივა არ არის ხელმისაწვდომი, დარწმუნდით, რომ პაციენტების საწოლები ერთმანეთისაგან დაშორებულია, სულ მცირე, 1,2 მეტრით და გამოიყენეთ ფიზიკური ბარიერები, როგორებიცაა- ფარდა ან გამყოფი ბარიერი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წვეთოვანი გზით გადამდები დაავადებების თავიდან ასაცილებლად.
- ჩაიტარეთ ხელის ჰიგიენა.

ამბულატორიულ დაწესებულებებში პაციენტები, რომლებსაც ესაჭიროებათ წვეთოვანი ინფექციის უსაფრთხოების ზომები, დაუყოვნებლივ მოათავსეთ გასასინჯ ოთახში ან იზოლაციაში. პაციენტებს აუხსენით/ასწავლეთ, როგორ დაიცვან რესპირატორული ჰიგიენის/ხველის ეტიკეტისთვის არსებული რეკომენდაციები (იხ. გაიდლაინი „რესპირატორული ჰიგიენა და ხველის ეტიკეტი“).

პაციენტის ტრანსპორტირება

- შეზღუდეთ პაციენტის ტრანსპორტირება, გადაიყვანეთ პაციენტი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.
- ტრანსპორტირების დროს პაციენტს უნდა ეკეთოს ქირურგიული ნიღაბი.
- წინასწარ შეატყობინეთ იმ განყოფილებას, რომელმაც უნდა მიიღოს პაციენტი.

აღჭურვილობა პაციენტის მოვლისთვის

ინფექციური პაციენტებისათვის გამოიყენეთ ერთჯერადი ან ინდივიდუალური არაკრიტიკული საგნები (მაგ. წნევის აპარატის მანჟეტი, თერმომეტრი); თუ აუცილებელი გახდა მათი გამოყენება სხვა პაციენტზე, მაშინ გამოყენების წინ უნდა მოხდეს მათი წმენდა და დეზინფექცია.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

რესპირატორული და თვალის/ლორწოვანი გარსის დაცვა

- გაიკეთეთ სათვალე ან სახის ფარი, რომელიც მთლიანად ფარავს თვალებს, ცხვირსა და პირის ღრუს (იხილეთ თავი „იდს“) პაციენტის მოვლის ზონაში შესვლამდე;
- მოიშორეთ იდს და მოათავსეთ ნარჩენების შესაბამის კონტეინერში პაციენტის მოვლის ზონის დატოვების შემდეგ;
- თუ იდს მრავალჯერადი გამოყენებისაა (მაგ. სათვალე, სახის ფარი), ყოველი გამოყენების შემდეგ გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია.
- პაციენტისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევამდე და შემდეგ ყოველთვის ჩაიტარეთ ხელის ჰიგიენა

დასუფთავება

შემოიღეთ რეგულარული და საბოლოო დასუფთავების პრაქტიკა. (ის.გაიდლაინი „სამედიცინო დაწესებულების დასუფთავება“).

უსაფრთხოების ზომები ჰაერის გზით გადამდები დაავადებების პრევენციისათვის

დაავადება ჰაერის გზით გადაეცემა 5 მიკრონზე ნაკლები ზომის ინფიცირებული წვეთების ჰაერში გაფრქვევისას (ტუბერკულოზი, ჰერპეს ზოსტერი და სხვა).

ჰაერში გაფრქვეული წვეთები შრება და წარმოიქმნება პატარა ნაწილაკები, რომლებიც შესაძლებელია ხანგრძლივად დარჩეს ჰაერში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხდება მათი მტვრის ნაწილაკებთან შეერთება. ჰაერით გადამცემი პათოგენების გავრცელების პრევენცია მოითხოვს სპეციალური ჰაერის მიწოდებას და სავენტილაციო სისტემებს. სამედიცინო პერსონალისათვის რეკომენდებულია რესპირატორული დაცვა- N95 ან უფრო მაღალი დონის რესპირატორით.

ჰაერის გზით გადაეცემა შემდეგი დაავადებები: ტუბერკულოზი, წითელა, ჩუტყვავილა, ჰემორაგიული ცხელება პნევმონიით.

ჰაერის გზით გადამდები ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომების განსახორციელებლად საჭიროა:

- **წყაროს კონტროლი**

პაციენტებმა მოსაცდელში ან პალატის გარეთ ტრანსპორტირებისას უნდა ატარონ სამედიცინო ნიღაბი.

- **პაციენტის განთავსება**

იდეალურ შემთხვევაში საჭიროა პაციენტის მოთავსება ჰაერით გადამდები ინფექციების საიზოლაციო ოთახში (AIIR), რომელიც მოიცავს შემდეგს:

- დერეფანთან შედარებით უარყოფით წნევა (ჰაერის ცვლა 6-12 - ჯერ საათში). ოთახიდან ჰაერის გადინება უნდა ხდებოდეს შენობის გარეთ ან უნდა გაიაროს სპეციალური ფილტრები დაწესებულების სხვა სივრცეებში რეცირკულირებამდე;
- დახურული კარები;
- როდესაც პაციენტი მოთავსებულია იზოლაციის ოთახში, აუცილებელია ჰაერის წნევის მონიტორინგი სპეციალური ხელსაწყო- დეტექტორით და შესაბამისი ჩანაწერების წარმოება.
- ოთახში უნდა შედიოდეს და გამოდიოდეს მხოლოდ პაციენტის მართვაში ჩართული პერსონალი;
- შეზღუდეთ ვიზიტორები, განსაკუთრებით, ორსულები, დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პირები და ბავშვები. დაშვებულ ვიზიტორებს მოარგეთ რესპირატორი.
- შეზღუდეთ პაციენტის პალატაში იმ თანამშრომლების შესვლა, რომელთაც არა აქვთ იმუნიტეტი წითელას, ჩუტყვავილას, ყვავილის მიმართ; თუ შესაძლებელია, ისინი ჩაანაცვლეთ სხვა მუშაკებით.
- ვაქცინაციით მართვადი ინფექციების დროს (მაგ., წითელა) ინფექციისადმი მგრძობიარე პირებს კონტაქტის შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად ჩაუტარეთ იმუნიზაცია.

ამბულატორიულ დაწესებულებებში:

- ამოქმედდება რესპირატორული ჰიგიენის/ხველის ეტიკეტი გაძლიერებული ხელის ჰიგიენის თანხლებით.

- გაუკეთეთ პაციენტს სამედიცინო ნიღაბი და მოათავსეთ გამოკვლევების ოთახში. პაციენტის ოთახიდან გამოსვლის შემდეგ, ოთახი უნდა განიავდეს ერთი საათის განმავლობაში და დასუფთავდეს.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

რესპირატორული დაცვა



რესპირატორი აუცილებელია ყველასთვის, გარდა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დადასტურებულია იმუნიტეტის არსებობა. (რესპირატორის მორგებისათვის იხ. გაიდლაინი „ინდივიდუალური დაცვის საშუალებები“)

პაციენტის ტრანსპორტირება



- პაციენტის ტრანსპორტირება შეზღუდულ მანქანაში და მოახდინეთ მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში
- თუ პაციენტის ტრანსპორტირება გარდაუვალია, უნდა გატარდეს შესაბამისი უსაფრთხოების ზომები:
 - ✓ რესპირატორული ინფექციების მქონე პაციენტები უზრუნველყავით ქირურგიული ნიღბით (მათ შორის, ტუბერკულოზით).
 - ✓ შეატყობინეთ განყოფილებას ან დაწესებულებას, სადაც პაციენტი გადაგყავთ, რომ მოემზადონ პაციენტის მისაღებად და შესაბამისი საიზოლაციო ღონისძიებებისთვის.
- თუ პაციენტს აღენიშნება ამ დაავადებასთან ასოცირებული კანის დაზიანებები (მაგ. ჰერპესი), დაზიანებული ადგილები უნდა დაიფაროს, აეროზოლიზაციის ან კონტაქტის შემცირების მიზნით.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება:

- პაციენტის ტრანსპორტირებამდე გამოყენებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მოიხსენით და განათავსეთ ნარჩენების შესაბამის კონტეინერში, ჩაიტარეთ ხელის ჰიგიენა
- პაციენტის ტრანსპორტირებისათვის ჩაიცვით ახალი, სუფთა იდს
- ტრანსპორტირების შემდეგ ეტლი ან საკაცე გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია.
- გამოყენებული ერთჯერადი იდს ტრანსპორტირების შემდეგ მოათავსეთ ნარჩენების შესაბამის კონტეინერში.
- მრავალჯერადი იდს დაამუშავეთ შესაბამისი წესების დაცვით

დასუფთავება

(იხ.გაიდლაინი „სამედიცინო დაწესებულებების დასუფთავება“); საყურადღებოა, რომ დასუფთავებაში მონაწილე პერსონალს ეკეთოს რესპირატორი.

დამატებითი ინფორმაცია

საიზოლაციო ოთახების მახასიათებლები

თუ ჩვეულებრივი პალატის გადაკეთება ხერხდება ამ ტიპის საიზოლაციო ოთახად ჰაერის ცალკე გამომტანი სისტემით, მაშინ ჰაერის საერთო სისტემაში გასვლამდე უნდა ხდებოდეს მისი HEPA ფილტრში გატარება. ამასთან, შენარჩუნებული უნდა იყოს ვენტილაციის სხვა პარამეტრებიც.

აუცილებელია, ჰაერი სველი წერტილიდან და რაბიდან პირდაპირ გადიოდეს გარეთ.

პალიატიურ განყოფილებაში ამ ტიპის ოთახების საჭიროება განისაზღვრება კლინიკურ პერსონალთან ერთად და თუ საჭიროა, უნდა დააკმაყოფილოს ცალკე მოთხოვნები.

იზოლაციურ -შემზღვევლი ღონისძიებები საოპერაციოში

გადაცემის გზებზე დაფუძნებული უსაფრთხოების ზომების პრინციპები იგივეა საოპერაციო ოთახებში. სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს პერიოპერაციულ ზონაში, გადაცემასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ღონისძიებებს უნდა ახორციელებდეს დიაგნოსტიკური მიკროორგანიზმების და / ან კლინიკური ნიშნების და სიმპტომების საფუძველზე.

საოპერაციოში პაციენტებს, რომლებიც ექვემდებარებიან გადაცემის გზებთან დაკავშირებულ იზოლაციას, უნდა ეკეთოთ ქირურგიული ნიღაბი.

ჩვეულებრივ საოპერაციო დარბაზში უზრუნველყოფილია დადებითი წნევა, ხოლო ჰაერით გადაცემადი ინფექციის მქონე პაციენტებზე ოპერაციები, მიზანშეწონილია, ჩატარდეს უარყოფითი წნევის ქვეშ, აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ვენტილაცია უნდა იყოს გამორთული.

ჰაერით გადამდებ ინფექციებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების გამოყენებისას, ასეთი პაციენტებისთვის პროცედურები უნდა დაიგეგმოს დღის ბოლოს.

საოპერაციოს პერსონალი უნდა ატარებდეს N95 რესპირატორებს ან უნდა გააჩნდეთ იმუნიტეტი (დოკუმენტირებული) კონკრეტული საეჭვო დაავადების წინააღმდეგ .

ცხრილი 2. კლინიკური სინდრომები ან მდგომარეობები, რომელთა დროსაც, სტანდარტული უსაფრთხოების ღონისძიებების გარდა, აუცილებელია გადაცემის გზებზე დაფუძნებული ემპირიული უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება

დაავადება	კლინიკური სინდრომი ან მდგომარეობა	პოტენციური პათოგენები	ემპირიული უსაფრთხოების ღონისძიებები (ყოველთვის მოიცავს სტანდარტულ უსაფრთხოების ღონისძიებებს)
დიარეა	მწვავე დიარეა სავარაუდოდ ინფექციური მიზეზით, შეუკავებლობის მქონე ან კამპერსიან პაციენტში	ენტერული პათოგენები	კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები (ბავშვთა და მოზრდილთა)
მენინგიტი	მენინგიტი	Neisseria meningitidis	წვეთოვანი უსაფრთხოების ღონისძიებები ანტიმიკრობული თერაპიის პირველი 24 სთ-ის განმავლობაში; ნიღაბი და სახის დაცვა მაგ. ინტუბაციისას
მენინგიტი	მენინგიტი	ენტეროვირუსები	კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები ჩვილებისა და ბავშვებისთვის
მენინგიტი	მენინგიტი	M. tuberculosis	პულმონარული ინფილტრატისას-ჰაეროვანი უსაფრთხოების ღონისძიებები; პოტენციურად ინფექციური სითხის გამონადენისას-ჰაერისმიერი + კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები;
გამონაყარი ან ეკზანთემები, გენერალიზებული, ეტიოლოგია უცნობია	პეტექიალური/ეკჰიმოზური, ცხელებით (ზოგადი)	Neisseria meningitides	ანტიმიკრობული თერაპიის პირველი 24 სთ-ის განმავლობაში

<p>გამონაყარი ან ეკზანთემები, გენერალიზებული, ეტიოლოგია უცნობია</p>	<p>პეტექიალური/ეკქიმოზური, ცხელებით (ზოგადი)</p> <p>თუ არსებობს ინფორმაცია ისეთ რაიონში მოგზაურობის შესახებ, სადაც VHF-ის აქტიური აფეთქებაა, ცხელების დაწყებიდან 10 დღეში</p>	<p>ებოლას, ლასას, მარბურგის ვირუსები</p>	<p>წვეთოვანი + კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები, სახის/ თვალების დაცვით. ყურადღება უნდა გამახვილდეს ბასრ საგნებთან და ბარიერებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ღონისძიებებზე, თუ არსებობს სისხლით ექსპოზირების ალბათობა.</p> <p>გამოიყენეთ N95 ან უფრო მაღალი რესპირატორული დაცვა, როდესაც ტარდება აეროზოლის წარმოქმნელი პროცედურა.</p>
<p>გამონაყარი ან ეკზანთემები, გენერალიზებული, ეტიოლოგია უცნობია</p>	<p>ვეზიკულარული</p>	<p>ვარიცელა-ზოსტერის, herpes simplex, ვარიოლას (ნატურალური ყვავილი), ვაქცინიას ვირუსები</p>	<p>ჰაეროვანი და კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები;</p> <p>კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები, თუ არის მხოლოდ Herpes simplex, მეტად სავარაუდოა ლოკალიზებული ზოსტერი იმუნოკომპრომეტირებულ პაციენტში ან ვაქცინიას ვირუსი</p>
<p>გამონაყარი ან ეკზანთემები, გენერალიზებული, ეტიოლოგია უცნობია</p>	<p>მაკულოპაპულარული, ხველებით, მწვავე რინიტით და ცხელებით</p>	<p>რუბეოლას (წითელა) ვირუსი</p>	<p>ჰაეროვანი უსაფრთხოების ღონისძიებები</p>
<p>რესპირატორული ინფექციები</p>	<p>ხველა/ ცხელება, პულმონარული ინფილტრატი ზედა წილში აივ-უარყოფით პაციენტში ან აივ ვირუსის დაბალი რისკის მქონე პაციენტში</p>	<p>M. tuberculosis, რესპირატორული ვირუსები, S. pneumoniae, S. aureus (MSSA ან MRSA)</p>	<p>ჰაეროვანი და კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები</p>

დანართი 1

ლონისძიებების ტიპი და ხანგრძლივობა

ინფექცია/ მდგომარეობა	უსაფრთხოების ლონისძიების ტიპი	უსაფრთხოების ლონისძიების ხანგრძლივობა	უსაფრთხოების ლონისძიებები/ კომენტარები
აბსცესი, მნიშვნელოვანი გამონადენით	კონტაქტური + სტანდარტული	დაავადების პერიოდი (ჭრილობის სახის დაზიანებით, სანამ არ შეწყდება ჭრილობიდან გამონადენი)	არ არის საჭირო სახვევი ან გამონადენის შეკავება სანამ არ შეწყდება გამონადენი ან შესაძლებელი არ გახდება მისი შეკავება სახვევით
აბსცესი, მცირე ან შეზღუდული გამონადენით	სტანდარტული		სახვევი ფარავს და შეიწოვს გამონადენს
ადამიანის შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი	სტანდარტული		ექსპოზიციის ს შემდგომი ქიმიო-პროფილაქტიკა, საჭიროებისას

ინფექცია/ მდგომარეობა	უსაფრთხოების ღონისძიების ტიპი	უსაფრთხოების ღონისძიების ხანგრძლივობა	უსაფრთხოების ღონისძიებები/ კომენტარები
აქტინომიკოზი	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის
ადენოვირუსული ინფექცია (იხ. კონკრეტულ პათოგენებთან დაკავშირებული მითითებები გასტროენტერიტის, კონიუქტივიტის და			
ამებიოზი	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე გადადება იშვიათია.
ციმბირის წყლული	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის რისკი, ჩვეულებრივ, არ არის.
ციმბირის წყლული (ჯილეხი) კანის ფორმა	სტანდარტული		შესაძლებელია გადადება გამონადენის მქონე ჭრილობის კონტაქტით დაზიანებულ კანთან; ამიტომ, დიდი რაოდენობით შემოუფრგლავი გამონადენის არსებობისას გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები. უწყლო, სპირტის შემცველი ანტისეპტიკურ საშუალებების გამოყენებასთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება ხელების დაბანას, რადგან სპირტს არ გააჩნია სპორებზე ზემოქმედების უნარი
ციმბირის წყლული ფილტვის ფორმა	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის

<p>ციმბირის წყლული გარემოსთან დაკავშირებული: სპორების შემცველი აეროზოლი</p>		<p>გარემოს სრულ გაუვნებელყოფამდე</p>	<p>სანამ არ დასრულდება გარემოს გაუვნებელყოფა, გაიკეთეთ რესპირატორი (N95 ნილაბი ან PAPRs), ჩაიცვით დამცავი ტანსაცმელი;</p> <p>ხელების ჰიგიენა: ხელების დაბანა 30-60 წამის განმავლობაში საპნით და წყლით ან 2%-იანი ქლორჰექსიდინ გლუკონატით; (ხელის სადეზინფექციო სპირტიანი ხსნარები არ მოქმედებს სპორებზე)</p> <p>ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკა გარემოსმიერი ზემოქმედების შემდეგ: ანტიმიკრობული მკურნალობა 60 დღის განმავლობაში (დოქსაცვილინი, ციპროფლოქსაცინი ან ლევოფლოქსაცინი) და ექსპოზირების-შემდგომი ვაქცინაცია IND-ით</p>
<p>ანთროპონოზული</p> <ul style="list-style-type: none"> • ვირუსული ცხელებები (დენგე, ყვითელი ცხელება, კოლორადოს ტკიპის ცხელება) 	<p>სტანდარტული</p>		<p>ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის,</p> <p>. ენდემურ რაიონებში ფანჯრებსა და კარებებში უნდა ჩააყენდეს ბადეები ვექტორებისაგან თავის დასაცავად</p> <p>გამოიყენეთ კოლოების საწინააღმდეგო საშუალებები და ისეთი ტანსაცმელი, რომელიც ფარავს კიდურებს</p>
<p>ასკარიდოზი და ანკილოსტომოზი</p>	<p>სტანდარტული</p>		<p>ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის</p>
<p>ასპერგილოზი</p>	<p>სტანდარტული</p>		<p>კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები და აეროვანი, თუ სახეზეა რბილი ქსოვილის მასიური ინფექცია უხვი გამონადენით და საჭიროა განმეორებით გამოორეცხვა</p>

ინფექცია/ მდგომარეობა	უსაფრთხოების ღონისძიების ტიპი	უსაფრთხოების ღონისძიების ხანგრძლივობა	უსაფრთხოების ღონისძიებები/ კომენტარები
ბრონქიოლიტი (იხ. რესპირატორული ინფექციები ჩვილებში და პატარა ბავშვებში)	კონტაქტური + სტანდარტული	დაავადების პერიოდი	სტანდარტული უსაფრთხოების ზომების შესაბამისად, გამოიყენეთ ნიღაბი
ბრუცელოზი (ტალღისებრი, მალტური, ხმელთაშუა ზღვის ციებ- ცხელება)	სტანდარტული		არ გადადის ადამიანიდან ადამიანზე, გარდა ბანკში შენახული სპერმის და სქესობრივი კონტაქტისა (ლაბორატორიაში ექსპოზირების შემდეგ, ჩაატარეთ ანტიმიკრობული პროფილაქტიკა) .
კამპილობაქტერიული გასტროენტერიტი (იხ. გასტროენტერიტი)			
კანდიდოზები, ყველა ფორმა, გარდა კანისა და ლორწოვანი გარსის	სტანდარტული		
კატის ნაკაწრის დაავადება (კეთილთვისებიანი ლიმფორეტიკულოზი)	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის
ცელულიტი	სტანდარტული		
შანკროიდი (რბილი შანკრი) (H. ducreyi)	სტანდარტული		გადადის სქესობრივი გზით ადამიანიდან ადამიანზე
ჭუტყვავილა (იხ. >ვარიცელა)			
Chlamydia trachomatis კონიუქტივიტი	სტანდარტული		
Chlamydia trachomatis გენიტალური (ვენერიული ლიმფოგრანულომა)	სტანდარტული		

Chlamydia trachomatis პნევმონია (ჩვილები ≤3 თვემდე)	სტანდარტული		
Chlamydia pneumoniae	სტანდარტული		იშვიათად ; არის ინფორმაცია ინსტიტუციონალიზებულ ჰოპულა-ციებში აფეთქებების შესახებ.
ქოლერა (იხ. გასტროენტერიტი)			
დახურული ღრუს ინფექცია არის უხვი შემოუკავებელი გამონადენი; შეზღუდული ან მცირე გამონადენი	სტანდარტული		კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები, თუ არსებობს უხვი შემოუკავებელი გამონადენი
დახურული ღრუს ინფექცია არ არის გამონადენი ან არის დახურული დრენაჟის სისტემა	სტანდარტული		
Clostridium botulinum ბოტულიზმი(იხ.ზემოთ)	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის
Clostridium difficile (იხ. გასტროენტერიტი, C. difficile)	კონტაქტური+ სტანდარტული	დაავადების პერიოდი	
Clostridium perfringens საკვებით მოწამვლა	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის
Clostridium perfringens აიროვანი განგრენა	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე გადადება იშვიათია; არის ინფორმაცია ქირურგიულ გარემოში ერთი აფეთქების შესახებ . თუ ჭრილობის გამონადენი ჭარბია, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები
კოკციდიოიდომიკოზური (ველის ცხელება) გამონადენიანი დაზიანებები	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის, გარდა ექსტრემალური გარემოებებისა, რადგან Coccidioides immitis-ის ინფექციური ანთროპოიდური ფორმა არ წარმოიქმნება ადამიანებში

კოქციდიოიდომიკოზური (ველის ცხელება) პნევმონია	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის, გარდა ექსტრემალური გარემოებებისა, (მაგ. აეროზოლიზებული ქსოვილის ეტაპის ენდოსპორების შესუნთქვა გაკვეთის დროს, ინფიცირებული ფილტვის გადანერგვა) რადგან <i>Coccidioides immitis</i> -ის ინფექციური ანთროპოიდური ფორმა არ წარმოიქმნება ადამიანებში
კოლორადოს ტკიპის ციებ-ცხელება	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის

ინფექცია/ მდგომარეობა	უსაფრთხოების ღონისძიების ტიპი	უსაფრთხოების ღონისძიების ხანგრძლივობა	უსაფრთხოების ღონისძიებები/ კომენტარები
თანდაყოლილი წითურა	კონტაქტური + სტანდარტული	1 წლამდე ასაკისთვის	უსაფრთხოების სტანდარტული ღონისძიებები, თუ ნაზოფარინგეალური და შარდის კულტურები განმეორებით ნეგატიურია 3 თვის ასაკის შემდეგ
კონიუქტივიტი მწვავე ბაქტერიული	სტანდარტული		
კონიუქტივიტი მწვავე ბაქტერიული	სტანდარტული		

<p>კონიუქტივიტი მწვავე ვირუსული (მწვავე ჰემორაგიული)</p>	<p>კონტაქტური + სტანდარტული</p>	<p>დაავადების პერიოდი</p>	<p>ადენოვირუსი ყველაზე ხშირია; ენტეროვირუსი , კოკსაკის ვირუსი A24 ასევე დაკავშირებულია მოსახლეობაში აფეთქებებთან. ძალიან გადამდებია; არსებობს ინფორმაცია, რომ ხდება აფეთქებები თვალის კლინიკებში, პედიატრიულ და ნეონატალურ დაწესებულებებში, ინსტიტუციონალურ გარემოში. კონიუქტივიტის მქონე პაციენტებთან მუშაობისას, თვალის კლინიკებმა უნდა დაიცვან სტანდარტული უსაფრთხოების ზომები. ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის გამოყენებისას ინფექციის კონტროლის დონისძიებების რუტინული დაცვა, უზრუნველყოფს აფეთქებების პრევენციას ამ და სხვა გარემოში.</p>
<p>SARS-სთან ასოცირებული კორონა ვირუსი (SARS- CoV) (იხ. მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი)</p>			
<p>კოკსაკის ვირუსული დაავადება (იხ. ენტეროვირუსული ინფექცია)</p>			
<p>კრეიტცფელდტ-იაკობის დაავადება (CJD, vCJD)</p>	<p>სტანდარტული</p>		<p>გამოიყენეთ ერთჯერადი ინსტრუმენტები ან სპეციალური სტერილიზაცია- დეზინფექცია ზედაპირებისთვის, საგნებისთვის, რომლებიც დაბინძურებულია ნერვული ქსოვილებით; თუ საეჭვოა CJD ან vCJD და არ იყო ნაოპერაციები, არ არის საჭირო დამარხვის სპეციალური პროცედურების გამოყენება.</p>
<p>კრუპი (იხ. რესპირატორული ინფექციები ჩვილებსა და ბავშვებში)</p>			
<p>ყირიმულ-კონგოური ცხელება (იხ. ვირუსული ჰემორაგიული ცხელება)</p>	<p>სტანდარტული</p>		

კრიპტოკოკოზი	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა; შესაძლებელია გადადება მხოლოდ ქსოვილით და თვალის რქოვანას გადანერგვით
კრიპტოსპორიდიოზი(იხ. გასტროენტერიტი)			
ცისტიცერკოზი	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა
ცილომეგალოვირუსული ინფექცია, მათ შორის ახალშობილებში და იმუნიტეტდაქვეითებულ პაციენტებში	სტანდარტული		ორსული სამედიცინო პერსონალისთვის არ არის დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებები
დენგეს ცხელება	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა ; საჭიროა ვექტორისაგან თავის დაცვა - ფანჯრებზე ბადეების დამაგრება
დიარეა, ეჭვი მწვავე ინფექციურ ეტიოლოგიაზე (იხ. გასტროენტერიტი)			
დიფტერია კანის	კონტაქტური + სტანდარტული	სანამ არ დამთავრდება ანტიმიკრობული მკურნალობა და კულტურაზე ნეგატიური პასუხი მიიღება	სანამ 24 საათის ინტერვალით აღებული 2 კულტურა არ იქნება უარყოფითი
დიფტერია ფარინგალური	კონტაქტური + სტანდარტული	სანამ არ დამთავრდება ანტიმიკრობული მკურნალობა და კულტურაზე ნეგატიური პასუხი მიიღება	სანამ 24 საათის ინტერვალით აღებული 2 კულტურა არ იქნება უარყოფითი

ინფექცია/ მდგომარეობა	უსაფრთხოების ღონისძიების ტიპი	უსაფრთხოების ღონისძიების ხანგრძლივობა	უსაფრთხოების ღონისძიებები/ კომენტარები
ეპოლას ვირუსი (იხ. ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები)			განახლებული რეკომენდაციები ჯანდაცვის მუშაკებისთვის შეგიძლიათ იხილოთ: ეპოლა: აშშ ჯანდაცვის მუშაკები და დაწესებულებები (https://www.cdc.gov/vhf/ebola/healthcare-us/)
ექინოკოკოზი	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა
ექოვირუსი (ეხ. ენტეროვირუსული ინფექცია)			
ენცეფალიტი ან ენცეფალომიელიტი (იხ. კონკრეტული ეტიოლოგიური აგენტები)			
ენდომეტრიტი (ენდომიომეტრიტი)	სტანდარტული		
ენტერობიოზი (მახვილა ჭია, ოქსიუროზი)	სტანდარტული		
Enterococcus სახეობები (თუ ეპიდემიოლოგიურად მნიშვნელოვანი ან ვანკომიცინ-რეზისტენტულია, იხ. მულტი-რეზისტენტული ორგანიზმები)			
ენტეროკოლიტი, C. difficile (იხ. C. difficile, გასტროენტერიტი)			
ენტეროვირუსული ინფექციები (ანუ A და B ჯგუფის კოკსაკის ვირუსები და ექო ვირუსები) (არ მოიცავს პოლიო ვირუსს)	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე ბავშვებში, დაავადების განმავლობაში ან ინსტიტუციონალური აფეთქების კონტროლისას გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები

ეპიგლოტიტი, Haemophilus influenzae b ტიპის გამო	წვეთოვანი + სტანდარტული	ეფექტური თერაპიის დაწყებიდან 24 საათამდე	იხ. კონკრეტული დაავადებების აგენტები სხვა ეტიოლოგიის ეპიგლოტიტისთვის
ეპშტეინ-ბარის ვირუსული ინფექცია; მათ შორის ინფექციური მონონუკლეოზი	სტანდარტული		
ინფექციური ერითემა (აგრეთვე იხ. პარეოვირუსი B19)			
Escherichia coli გასტროენტერიტი (იხ. გასტროენტერიტი)			
საკვებით მოწამვლა ბოტულიზმი	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა
საკვებით მოწამვლა C. perfringens ან welchii	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა
საკვებით მოწამვლა სტაფილოკოკური	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა
ფურუნკულოზი, სტაფილოკოკური	სტანდარტული		კონტაქტური თუ დრენაჟი არ კონტროლდება. შეასრულეთ MRSA - პროტოკოლი
ფურუნკულოზი, სტაფილოკოკური ჩვილები და პატარა ბავშვები	კონტაქტური + სტანდარტული	დაავადების განმავლობაში (ღია დაზიანებებით, სანამ გამონადენი არ შეწყდება)	
განგრენა (აეროვანი განგრენა)	სტანდარტული		ადამიანიდან ადამიანს არ გადაეცემა

გასტროენტერიტი	სტანდარტული		კამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან აფეთქების ზედამხედველობისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები
გასტროენტერიტი ადენოვირუსი	სტანდარტული		კამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან აფეთქების ზედამხედველობისას გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები

ინფექცია/ მდგომარეობა	უსაფრთხოების ღონისძიების ტიპი	უსაფრთხოების ღონისძიების ხანგრძლივობა	უსაფრთხოების ღონისძიებები/ კომენტარები
გასტროენტერიტი Campylobacter-ის სახეობები	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები
გასტროენტერიტი ქოლერა (Vibrio cholerae)	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები
გასტროენტერიტი C. difficile	კონტაქტური + სტანდარტული	დაავადების განმავლობაში	თუ საჭიროა, შეწყვიტეთ ანტიბიოტიკები. არ გამოიყენოთ საერთო ელექტროთერმომეტრები; უზრუნველყავით გარემოს დროული დასუფთავება და დეზინფექცია. თუ გადადება გაგრძელდა, შესაძლოა, საჭირო გახდეს ჰიპოქლორიდის გამოყენება გასაწმენდად. უმჯობესია ხელების დაბანა საპნით და წყლით, ვინაიდან ხელის უწყლო ანტისეპტიკში შემავალ სპირტს არ გააჩნია სპორიციდული მოქმედება
გასტროენტერიტი Cryptosporidium სახეობები	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები
გასტროენტერიტი E. coli ენტეროჰაემოგენური O157:H7 და shiga-ტოქსინის წარმომქმნელი სხვა შტამები	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან ინსტიტუციონალური აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები

<p>გასტროენტერიტი</p> <p>E. coli</p> <p>სხვა სახეობები</p>	<p>სტანდარტული</p>		<p>ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან ინსტიტუციონალური აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები</p>
<p>გასტროენტერიტი</p> <p>Giardia lamblia</p>	<p>სტანდარტული</p>		<p>ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან ინსტიტუციონალური აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები</p>
<p>გასტროენტერიტი</p> <p>ნოროვირუსები</p>	<p>სტანდარტული</p>		<p>ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან ინსტიტუციონალური აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტის უსაფრთხოების ღონისძიებები.</p> <p>იმ პირებისთვის, ვინც წმენდს განავლით ან ნარწყევით ძლიერ დაბინძურებულ ადგილებს, შესაძლოა სასარგებლო იყოს ნიღბის ტარება, რადგან ვირუსი ორგანული ნივთიერებებიდან შესაძლოა აეროზოლურ ფორმაში გადავიდეს; უზრუნველყავით გარემოს დროული დასუფთავება და დეზინფექცია; ყურადღება გაამახვილეთ საპირფარეშოებზე, მაშინაც კი, თუ ვიზუალურად დაბინძურებული არ არის.თუ გადადება გაგრძელდა, შესაძლოა, საჭირო გახდეს გასაწმენდად ჰოპოქლორიდის ხსნარების გამოყენება ;სპირტი ნაკლებად აქტიურია, თუმცა არ არსებობს მტკიცებულება, რომ ხელის სპირტიანი ანტისეპტიკები არ არის ეფექტური ხელების გაუვნებელყოფისათვის</p>
<p>გასტროენტერიტი</p> <p>როტავირუსი</p>	<p>კონტაქტური + სტანდარტული</p>	<p>დაავადების განმავლობაში</p>	<p>უზრუნველყავით გარემოს დროული დასუფთავება და დეზინფექცია, დაბინძურებული ჰამპერსის დროული გამოცვლა. გახანგრძლივებულ კუჭში გასვლას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც იმუნოკომპეტენტურ, ასევე იმუნოკომპრომეტირებულ ბავშვებსა და მოზრდილებში</p>

გასტროენტერიტი Salmonella -ს სახეობები (მათ შორის S. typhi)	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან ინსტიტუციონალური აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები
გასტროენტერიტი Shigella -ს სახეობები (ბაცილური დიზენტერია)	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან ინსტიტუციონალური აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები

ინფექცია/ მდგომარეობა	უსაფრთხოების ღონისძიების ტიპი	უსაფრთხოების ღონისძიების ხანგრძლივობა	უსაფრთხოების ღონისძიებები/ კომენტარები
გასტროენტერიტი Vibrio parahaemolyticus	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან ინსტიტუციონალური აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები
გასტროენტერიტი ვირუსული (თუ სხვაგან არსად არ არის მითითებული) იგივეა რაც ნოროვირუსები	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან ინსტიტუციონალური აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები
გასტროენტერიტი Yersinia enterocolitica	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში ან ინსტიტუციონალური აფეთქების კონტროლისას, გამოიყენეთ კონტაქტური უსაფრთხოების ღონისძიებები
გერმანული წითელა (იხ. წითურა; იხ. გადამდები წითურა)			
ლამბლიოზი (იხ. გასტროენტერიტი)			
ნეონატალური გონოკოკური ოფთალმია (გონორეული ოფთალმია, ახალდაბადებულთა მწვავე კონიუქტივიტი)	სტანდარტული		

გონორეა	სტანდარტული		
საზარდულის გრანულომა (ვენერიული გრანულომა)	სტანდარტული		
გილენ-ბარის სინდრომი	სტანდარტული		არ არის ინფექციური მდგომარეობა
Haemophilus influenzae (იხ. ასევე რეკომენდაციები კონკრეტული დაავადებებისთვის)			
ხელის, ტერფისა და პირის დაავადება (იხ. ენტეროვირუსული ინფექცია)			
ჰანსენის დაავადება (იხ. კეთრი)			
ჰანტავირუსული ფილტვისმიერი სინდრომი	სტანდარტული		არ გადადის ადამიანიდან ადამიანზე
Helicobacter pylori (იხ. გასტრიტი)	სტანდარტული		
ჰეპატიტი, ვირუსული ტიპი A	სტანდარტული		ჩაატარეთ ვაქცინაცია A ჰეპატიტზე, ექსპოზირების შემდგომ, როგორც რეკომენდირებულია
ჰეპატიტი, ვირუსული ტიპი A- ჰამპერსიანი ან შეუკავებლობის მქონე პაციენტები	კონტაქტური + სტანდარტული		განახორციელეთ კონტაქტის უსაფრთხოების ღონისძიებები ჩვილებსა და სამ წლამდე ბავშვებში ჰოსპიტალიზაციის პერიოდში; 3-14 წ. ასაკის ბავშვებში - სიმპტომების გამოვლენიდან 2 კვირის განმავლობაში; >14 წელს ზემოთ - სიმპტომების გამოვლენიდან 1 კვირის განმავლობაში
ჰეპატიტი, ვირუსული ტიპი B-HBsAg პოზიტიური; მწვავე ან ქრონიკული	სტანდარტული		იხ. კონკრეტული რეკომენდაციები პაციენტების მოვლისთვის ჰემოდიალიზის ცენტრებში
ჰეპატიტი, ვირუსული ტიპი C და სხვა დაუკონკრეტებელი არა-A,	სტანდარტული		იხ. კონკრეტული რეკომენდაციები პაციენტების მოვლისთვის ჰემოდიალიზის ცენტრებში
ჰეპატიტი, ვირუსული ტიპი D (ადგილი აქვს მხოლოდ B ჰეპატიტთან)	სტანდარტული		

ჰეპატიტი, ვირუსული ტიპი E	სტანდარტული		ჰამპერსიან ან შეუკავებლობის მქონე პირებში, დაავადების განმავლობაში გამოიყენეთ კონტაქტის უსაფრთხოების ღონისძიებები
ჰეპატიტი, ვირუსული ტიპი G	სტანდარტული		
ჰერპანგინა (იხ. ენტეროვირუსული ინფექცია)			
	სტანდარტული		
უბრალო ჰერპესი (Herpesvirus hominis) ენცეფალიტური	სტანდარტული		

ინფექცია/ მდგომარეობა	უსაფრთხოების ღონისძიების ტიპი	უსაფრთხოების ღონისძიების ხანგრძლივობა	უსაფრთხოების ღონისძიებები/ კომენტარები
უბრალო ჰერპესი (Herpesvirus hominis) კანისა და ლორწოვანი გარსის, დისემინირებული ან პირველადი, მწვავე	კონტაქტური + სტანდარტული	სანამ დაზიანებები არ გაშრება და ქერქით არ დაიფარება	
უბრალო ჰერპესი (Herpesvirus hominis) კანისა და ლორწოვანი გარსის, პერიოდული (კანზე, პირში, გენიტალიებზე)	სტანდარტული		

<p>უბრალო ჰერპესი (Herpesvirus hominis) ნეონატალური</p>	<p>კონტაქტი + სტანდარტული</p>	<p>სანამ დაზიანებები არ გაშრება და ქერქით არ დაიფარება</p>	<p>თუ დედას აქვს აქტიური ჰერპეს ინფექცია და ბუშტუკის გარსი დაირღვა ფიზიოლოგიურ ან თუნდაც საკეისრო კვეთმდე 4-6 საათით ადრე, ექსპოზირებული ასიმპტომური ახალშობილები კონტაქტურ იზოლაციაშია, სანამ ახალშობილის ზედაპირული კულტურა, რომელიც აღებულია 24-36 საათში დაბადებიდან, არ იქნება ნეგატიური 48 საათიანი ინკუბაციის შემდეგ.</p>
<p>ზოსტერის ჰერპესი (varicella-zoster) (სირსველი) დისემინირებული დაავადება ნებისმიერ პაციენტში ლოკალიზებული დაავადება იმუნოკომპრომეტირებულ პაციენტში, სანამ განვითარდება დისემინირებული ინფექცია</p>	<p>აიროვანი + კონტაქტური + სტანდარტული</p>	<p>დაავადების განმავლობაში</p>	<p>თუ არიან იმუნიზირებული მომვლელები, არაიმუნური პერსონალი არ უნდა შევიდეს ოთახში,; იმუნიტეტის მქონე პერსონალის დაცვისთვის რეკომენდაციები არ არის; დაცვის ტიპთან დაკავშირებით, მაგ. სამედიცინო ნიღაბი ან რესპირატორი, რეკომენდაციები არ არის;</p>
<p>ზოსტერის ჰერპესი (varicella-zoster) (სირსველი) ლოკალიზებული დაუზიანებელი იმუნური სისტემის მქონე პაციენტში, დაზიანებებით, რომლებიც შეიძლება შემოკავებულ/დაფარულ იქნას</p>	<p>სტანდარტული</p>	<p>დაავადების განმავლობაში (დაზიანებებისას - სანამ არ შეწყდება გამონადენი ჭრილობიდან)</p>	<p>თუ არიან იმუნიტეტის მქონე მომვლელები, იმუნიტეტის არმქონე პერსონალი არ უნდა ახორციელებდეს პაციენტის უშუალო მოვლას,</p>
<p>ჰისტოპლაზმოზი</p>	<p>სტანდარტული</p>		<p>არ გადადის ადამიანიდან ადამიანზე</p>
<p>ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (HIV - აივ)</p>	<p>სტანდარტული</p>		<p>ექსპოზირების-შემდგომი ქიმიოპროფილაქტიკა ექსპოზირების ზოგ შემთხვევაში</p>

ადამიანის მეტაპნევმოვირუსი	კონტაქტი + სტანდარტული	დაავადების განმავლობაში (დაზიანებებისას - სანამ არ შეწყდება გამონადენი ჭრილობიდან)	ატარეთ ნიღბები სტანდარტული უსაფრთხოების ზომების შესაბამისად.
იმპეტიგო	კონტაქტი + სტანდარტული	24 სთ ეფექტური თერაპიის დაწყებიდან	
ინფექციური მონონუკლეოზი	სტანდარტული		
